ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1928 წლის დეკემბრის 1.	№ 20 განყოფილება პირველი	ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მუხ. 226. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან განსაკუთრებულ განყოფილებათა მოწყობის შესახებ რკინის გზით და წყალსავალი გზით შემოზიდული და გაზიდული ტვირთის გადასახადისათვის.

„ 227. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნებად ამხანაგთა ს. იაკუბოვისა, ა. დოლიძისა და ა. შავერდოვის არჩევისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თანამდებობის აღსრულებისაგან ამხ. ი. თაღიევის განთავისუფლების შესახებ.

„ 228. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მდებარე ტყეებში მერქანის აღნუსხვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„ 229. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მე-3 და მე-4 სესსიებს შორის მიღებული უღრეცი მნიშვნელობის დადგენილებების დამტკიცების შესახებ.

„ 230. ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

„ 231. კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედ სახელმწიფო ორგანოთა და შერეულ საკაკიო საზოგადოებათა 1928-29 წლის ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

„ 232. 1928-29 წელს საბჭოთა არჩევნების შესახებ.

„ 233. საფეიქრო ნაკეთობის ფასის მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატის შესახებ.

„ 234. სოფლის მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის სამეურნეო დახმარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„ 235. ძირითადი დებულებანი კომუნალურ საწარმოთა ქონების ამორტიზაციის შესახებ.

„ 236. სბავშვო ბაგათა, სბავშვო ბაღთა და ბავშვების დამცველ სხვა დაწესებულებათა მიერ მეშა-ქალების ბავშვებისათვის გასაწევი მომსახურეობის გასაძლიერებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„ 237. გამომცემლობებისა და წიგნის მოვაჭრე ორგანიზაციების საადმინისტრაციო-საგამგებლო და სავაჭრო ხარჯების შემცირების შესახებ.

„ 238. სამინდო გამოსაღების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 69 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

226. **ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან განსაკუთრებულ განყოფილებათა მოწყობის შესახებ რკინის გზით და წყალსავალი გზით შემოზიდული და გაზიდული ტვირთის გადასახადისათვის.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რკინისგზით და წყალსავალი გზით შემოზიდული და გაზიდული ტვირთის ადგილობრივი გადასახადის შემოსავლის ზედამხედველობისა, ხელმძღვანელობისა და აღნუსხვისათვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან 1928 წ. იანვრის 15-დან დაარსებულ იქნეს სატვირთო გადასახადის განსაკუთრებული განყოფილებანი; ამასთანავე, ა/კსფსრ დიდ ქალაქებში დატოვებულ იქნეს არსებული აპარატი.

აღნიშნული აპარატის შენახვისათვის საჭირო ხარჯი დაფარულ იქნეს ამ გადასახადით შემოსული საერთო თანხის განსაკუთრებული ანარიცხით.

შენიშვნა. აღნიშნულ ანარიცხს დაიჭერს ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს რკინის გზა (სათანადო სადგური), ნაოსნობის ორგანიზაცია ან პორტი შემოსული გადასახადის საერთო თანხიდან და გადასცემს სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

2. ტრანსპორტის აგენტების მიერ სატვირთო გადასახადის გადახდევინებისათვის 1928 წ. ნოემბრის 15-დან დაწესებულ იქნეს რკინის გზისა, ნაოსნობის ორგანიზაციისა და პორტის სასარგებლოდ გასამრჯელო არა უმეტეს შემოსული გადასახადის $3^1/_2$ პროცენტისა, ხოლო დიდ ქალაქებში, რომელთა სიაც განისაზღვრება ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების 37 მუხლის წესისამებრ, არა უმეტეს 2 პროცენტისა.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები განსაზღვრავენ სატონნო გამოსაღების განსაკუთრებულ განყოფილებათა შტატს და აგრეთვე ამ შტატის შესანახად საჭირო ანარიცხის რაოდენობას, იმის გარდა, რაც ამა დადგენილების მე-2 მუხლშია აღნიშნული.

4. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი შეიმუშავებს ერთი კვირის ვადაზე და გამოსცემს ინსტრუქციას სატვირთო გადასახადის განსაკუთრებულ განყოფილებათათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. ოქტომბრის 25. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 254 №-ში 1928 წ. ნოემბრის 2-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე IV სესსიის.

227. **ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნებად ამხანაგთა ს. იაკუბოვისა, ა. დოლიძისა და ა. შავერდოვის არჩევისა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღსრულებისაგან ამხ. ი. თაღიევის განთავისუფლების შესახებ.**

ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესსია ადგენს:

1. რადგანაც ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ამხ. ი. თაღიევი პასუხსაგებ პარტიულ სამუშაოზე გადავიდა—განთავისუფლებულ იქნეს იგი ამიერკავკასიის ცენტრალური აღეასრულებელი კომიტეტის მდივნის მოვალეობის აღსრულებისაგან.

2. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიდეტის მდივნებად არჩეულ იქნენ ამხანაგნი ანდრია გიგოს-ძე დოლიძე, ალექსანდრე გიორგის-ძე შავერდოვი და სეიდ იაკუბოვი.

3. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა შედგენილობაში, მისი წევრის სახით, შევიდეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის კანდიდატი ამხ. ი. თაღიევი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. აღამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. ნოემბრის 1. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 255 №-ში 1928 წ. ნოემბრის 3-ს.

დადგენილება № 70 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

228. **ა/კსფსრ ტერიტორიაზე მდებარე ტყეებში მერქანის აღნუსხვისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.**

შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ „სსრკ-ის ტერიტორიაზე მდებარე ტყეებში მერქანის აღნუსხვისათვას საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ 1928 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგვისტოს 17-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (ოქმი № 385, პ. 2) თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ ტერიტორიაზე მდებარე ტყეებში ძერქანის სწორე და თანაბარი აღნუსხვისათვის გადაისინჯოს არსებული და დაწყებულ იქნეს ახალი მასსიური და სორტიმენტული ცხრილების შედგენა.

2. ხელმძღანელობა ახალი მასსიური და სორტიმენტული ცხრილების შესადგენად საჭირო მუშაობისათვის, ისე, რომ ეს ცხრილები გამოყენებულ იქნეს ა/კსფსრ მასშტაბით, დაეკისროს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სპეციალურ კომისიას, იმ პირობით, რომ ყველა აღნიშნული მუშაობა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1930 წლის ოქტომბრის 1-სა:

ა) აღნიშნულ კომისიას დანიშნავს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე—ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს წევრთაგანი და სამი სპეციალისტი ტყის საქმის მცოდნე;

ბ) გამოანგარიშებისა, მასალის შემოწმებისა და საბოლოო ციფრობრივი ცხრების შეჯუმლვისათვის საჭირო ტეხნიკური მუშაობის საწარმოებლად კომისია გამოიყენებს ტეხნიკურ აპარატს ორი ტაკსატორისა და ერთი მოანგარიშის შედგენილობით;

გ) კომისიისა და მისი ტეხნიკური აპარატის ყოველი ხარჯი დაფარულ იქნება განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვით, რასაც კომისია დასამტკიცებლად წარუდგენს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომიმარიატს.

3. მე-2 მუხლში აღნიშნულ სპეციალურ კომისიას დაეკისრება:

1) შეიმუშაოს არა უგვიანეს 1929 წლის იანვრის 1-სა სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დირექტივებთან შეთანხმებული ინსტრუქცია მასსიური ცხრილების შედგენისათვის, ამ ცხრილების მეტოდოლოგიისა და სისტემის განმარტებით და საჭირო ფორმების დართვით, და სთხოვოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს დაუგზავნონ აღნიშნული ინსტრუქცია მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს;

ბ) შეაგროვოს ცხრილების შესადგენად საჭირო მასალა;

ხ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ყოველგვარი დაზომვისა და გამოკვლევისათვის საჭირო მუშაობას და სათანადო შემთხვევაში წარავლინოს ხოლმე ადგილობრივ კომისიის წევრები აღნიშნული მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს—დაავალონ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) წარუდგინონ ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ამ საბჭოს სპეციალური კომისიის მუშაობისათვის საჭირო მასალა სამოდელო ხეების დაზოგვისა, ყველა აუცილებელი განმარტებით;

ბ) მოახდინონ, როცა საჭირო იქნება, ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს აღნიშნული სპეციალური კომისიის წინადადებით და დირექტივით, ამა თუ იმ ჯიშის ხეებისა და რაიონების შესახები დაზომვა და გამოკლევა;

გ) წარუდგინონ ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სპეციალურ კოკომისიას ჯუმლობითი სამუშაო სამომზადებლო ცნობები გამოკვლევათა შესახებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა დადგენილების მე-3 მუხ. „ა“ პუნ. თანახმად, მასსიური ცხრილების შესადგენად;

დ) შეიმუშაონ და წარუდგინონ ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს, განსახილველად და ა/კსფსრ მასშტაბით შესათანხმებლად, სორტიმენტული ცხრილების პროექტი ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი ერთიანი გეგმის საფუძველზე.

შენიშვნა. „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულების ვადებს განსაზღვრავენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატები, ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სპეციალურ კომისიასთან შეთანხმებით.

ე) არა უგვიანეს 6 თვისა ამა დადგენილების მიღების დღიდან განახორციელონ ამ ჟამად მომქმედი სორტიმენტული ცხრილების მეტრულ სისტემაზე გადატანა, დაწესებული სტანდარტების ანგარიშში მიღებით, და, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, აკრძალონ ძველი ზომის სისტემიანი საზომი ჩანგლების ხმარება;

ვ) შეუდგნენ როგორც საკაფავი, ისე ზრდა-მოღწეული ტყის მერქანის მარაგის გეგმაშეწონილად აღნუსხვას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომის. საბჭოს საქ. მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. ოქტომბრის 25. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 256 №-ში 1928 წ. ნოემბრის 4-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-IV სესსიისა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ამხ. ა. შავერდოვის მოხსენების გამო.

229. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მე-3 და მე-4 სესსიებს შორის მიღებული უაღრესი მნიშვნელობის დადგენილებების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესსიამ მოისმინა მოხსენება პრეზიდიუმის მიერ მე-3 და მე-4 სესსიებს შორის მიღებული უაღრესი მნიშვნელობის დადგენილებების შესახებ და იგი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 და მე-4 სესსიებს შორის მიღებული შემდეგი, უაღრესი მნიშვნელობის დადგენილებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ბავშვთა ბაგების შესანახად სამრეწველო საწარმოთათვის სამუშაო ნელ-ფასის თანხის $^1/_4$%-ს გადახდევინების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-10 №-რი, მუხ. 109).

2. საზაფხულო და საზამთრო საძოვრების სარგებლობისათვის გადასახდ-ევინებელი საიჯარო ფასის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. მე-11 №-რი, მუხ. 118).

3. ა/კსფსრ-ში კერძო კაპიტალის ხარჯით ბინების მშენებლობის წასახალ-ისებლად სათანადო ღონისძიებათა მიღების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-15 № რი, მუხ. 149).

4. დიდი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის განმახორციელებელ პირ-თათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-15 №-რი, მუხ. 153).

5. ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტით სოფლის მეურნეობის ფინან-სიურად მოგვარების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შე-სახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-18 №-რი, მუხ. 205).

6. პერსონალური პენსიის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-18 №-რი, მუხ. 203).

7. სსრკ-ისა და ა/კსფსრ მთავრობის მიერ 1928 წ. საშემოდგომო თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა თაობაზე გამოცემულ დადგენილ-ებების განხორციელებისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევის შესა-ხებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-18 №-რი, მუხ. 196).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. ნოემბრის 1. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 257 №-ში 1928 წ. ნოემბრის 6-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-IV სესსიისა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. შ. ელიავას მოხსენ-ების გამო.

230. ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლი-კების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ.

ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-ტის მე-4 სესსიამ მოისმინა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომა-რის ამხ. შ. ელიავას მოხსენება—ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების პროექტის შესახებ—და იგი ადგენს:

1. ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების პროექტი დამტკიცებულ იქნეს.

2. დაევალოს ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტის პრეზიდიუმს: ა) უკეთუ სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინამდებარე სესსიაზე გადაისინჯება კავშირის საბიუჯეტო უფლებათა დებულება—მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა გაფართოებისათვის—1-ლი მუხლით გათვალისწინებულ დებულებაში შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებანი;

ბ) აღძრულ იქნეს არსებული წესისამებრ შუამდგომლობა, რათა სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა დებულების მე-16 მუხლის „დ“ ლიტერის რედაქცია შეიცვალოს ამ ლიტერაში აღნიშნული ვადის სამ თვემდე გაგრძელების მხრით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. ნოემბრის 1. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 257 №-ში 1928 წ. ნოემბრის 6-ს.

დადგენილება № 71 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

231. კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედ სახელმწიფო ორგანოთა და შერეულ სააქციო საზოგადოებათა 1928-29 წლის ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების აღრიცხვის წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოები, რომელნიც კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპებზე მოქმედობენ, და შერეული სააქციო საზოგადოებები, რომელთაც რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეთ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატში,—მოვალენი არიან საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების დანიშნულებანი 1928-29 წლისთვის აღრიცხონ ისეთი რაოდენობით, რაც არ აღემატება 1927-28 წლის ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებულ სათანადო ხარჯებს, რომელი ხარჯთაღრიცხვებიც შედგენილია „საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების 20%-ით შემცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების შესახებ“ 1927 წ. სექტემბრის 22-ს თარიღითა და 48 №-ით გამოცემუ-(ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-რი, მუხ. 206) ა/კსფსრ სახალხო კომისარ-თა საბჭოს დადგენილების თანახმად.

ამ დანიშნულებათა აღრიცხვის დროს ანგარიშში არ მიიღება 1927-28 წ. ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული ხარჯები, რაც 1928-29 წელს არ განმეორდება.

ახალი ხარჯებისათვის საჭირო დანიშნულებანი, რაც 1928-29 წ. ხარჯთ-აღრიცხვებით პირველად არის გათვალისწინებული, ზემოაღნიშნულ უკიდურეს რაოდენობაში არ შედიან და ხარჯაღრიცხვებში ნაჩვენები უნდა იქნენ გრაფს-გარედ.

შენიშვნა. უკუთუ სამუშაოთა მოცულობა 1928-29 წლისთვის დამტ-კიცებული გეგმის თანახმად, გადიდებულ იქნება, 1927-28 წელთან შედა-რებით, სამრეწველო საწარმოთათვის 17%-ზე მეტად და სავაჭრო საწარ-მოთათვის 20%-ზე მეტად, სათანადო სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებანი შეიძლება გადიდებულ იქნენ.

2. 1928-29 წლის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის სა-ჭირო სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებათა აღრიცხვის დროს—1-ლ მუხლში აღ-ნიშნული სახელმწიფო ორგანოები და შერეული საქციო საზოგადოებები მო-ვალენი არიან გაითვალისწინონ:

ა) აღნიშნული ხარჯების შემდგომი შემცირება აპარატის რაციონალიზა-ციით, ზედმეტი ფუნქციების თავიდან აცილებით და მუშაობის სისტემისა და მეთოდების გაუმჯობესებით;

ბ) შემდგომი შემცირება ხარჯებისა საგამგებლო ორგანოების სადგომების მოვლა-შენახვისა და მომსახურეობისათვის, წარვლენებისათვის, ფოსტა-ტელეგრა-ფისათვის, ტრანსპორტისათვის და სხვ.;

გ) სრული მოსპობა სახსარის ხარჯვისა ისეთი მიზნით, რასაც უშუალო კავშირი არა აქვს უწყებული ორგანოს დანიშნულებასთან.

3. დაეკალოს ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლი-კების იმ სახალხო კომისარიატებს, რომელთა გამგებლობაშიაც იმყოფებიან 1-ლ მუხლში აღნიშნული საწარმონი, გამოსცენ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სა-ხალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ორი კვირის ვადაზე, ინსტრუქციები ამა დადგენილების შესაფარდებლად.

4. დაეკისროს ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლი-კების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს—კუთვნილებისა-მებრ—ამა დადგენილების 1 და 2 მუხლების შესრულების შემოწმება.

5. წინადადება ეძლევა ა/კსფსრ შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომი-სართა საბჭოებს—სასწრაფო წესით გამოსცენ, 1 და 4 მუხლებთან შეფარდებით, დადგენილებანი—1928-29 წ. ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების აღრიცხვის შესახებ—იმ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოებისათვის, რომელნიც კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედობენ, და იმ შერეული სააქციო საზოგადოებებისათვის, რომელთაც რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეთ ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებში ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოთა
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1928 წ. ოქტომბრის 28. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 257 №-ში 1928 წ. ნოემბრის 6-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის მე-IV მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-IV სესსიისა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ი. თაღიევის მოხსენების გამო.

232. 1928-29 წელს ა/კსფსრ-ში საბჭოთა არჩევნების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სესსია აღნიშნავს, რომ 1926-27 წლის საბჭოთა არჩევნები თვალნათლივი მაჩვენებელია ა/კსფსრ-ის მუშათა და გლეხთა აქტივობის ზრდისა, როგორც იმის შედეგი, რომ საბჭოთა გამოცოცხლების ლოზუნგი სისწორით იქნა განხორციელებული. ახლად არჩეული საბჭოები, თავისი სოციალური შედგენილობით, წარსულთან შედარებით, წარმოადგენენ უფრო ძლიერ სიმაგრეს პროლეტარიატის დიქტატურისა და მუშათა კლასის მიერ მშრომელ გლეხთა მასსების ხელმძღვანელობისა ა/კსფსრ-ში.

საბჭოთა არჩევნების კამპანიამ ერთხელ კიდევ დაგვანახვა, თუ რამდენად სწორია საბჭოთა ხელისუფლების ნაციონალური პოლიტიკა ა/კსფსრ-ში.

გლეხობის უღარიბესმა და საშუალო ნაწილმა თვალსაჩინოდ გამოაშკარავა თავისი პოლიტიკური აქტივობა და ორგანიზაციულად დარაზმვა კულაკებისა და ანტი-საბჭოთა ელემენტების განზრახვების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელშიაც ისინი ცდილობდნენ გავლენა მოეხდინათ საარჩევნო კამპანიაზე და არჩევნების შედეგზე. სესსია განსაკუთრებით აღნიშნავს ა/კსფსრ გლეხ-ქალთა აქტივობის გაძლიერებას და მათ დაწინაურებას საბჭოების პასუხსაგებ ხელმძღვანელ მუშაობაში (აზერბაიჯანში).

სესსია მიაქცევს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტებისა, საქალაქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი იჩინა ამა თუ იმ საორგანიზაციო ნაკლულოვანებამ, მაგალითად: პარალელური კამპანიები, სადგომების დაუმზადებლობა, საარჩევნო და საანგარიშო კრებებისათვის დღეებისა და საათების უხერხული შერჩევა და ამომრჩეველთათვის კრებების შესახებ ცნობების მიწოდების სუსტი ტეხნიკა, რაც ხელს უშლიდა მუშათა და გლეხთა მასსებს ფართოდ გაეშალათ თავიანთი აქტივობა, განსაკუთრებით-კი ორგანიზაციულად დაურაზავ ელემენტებს, კერძოდ, ქალებს სოფლად და ქალაქად. ეს ნაკლულოვანებანი თავიდან აცილებულ უნდა იქნეს წინამდებარე 1928-29 წლის არჩევნებისათვის მომზადების საქმეში.

წინამდებარე საარჩევნო კამპანიის ჩატარებას საფუძვლად უნდა დაედვას განმარტება მუშა კლასისა და გლეხობის ფართო ფენებისათვის საბჭოთა ხელისუფლების მორიგი კულტურულ-მეურნეობრივი და პოლიტიკური მიზნებისა და ღონისძიებებისა სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში: იხდივიდუალური საგლეხო მეურნეობის წარმატება, სოფლის მეურნეობის წარმოებითი კოოპერაციის სახით მოწყობა, სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების მშენებლობა, საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება, ღარიბთათვის მატერიალური და ორგანიზაციული დახმარების გაწევა, სოციალურ-კულტურული მშენებლობის მიზნები და საყოფაცხოვრებო ცრურწმენასთან ბრძოლა, კერძოდ, ქალის დამცირებული მდგომარეობის წინააღმდეგ და სხვ.

როგორც წინა წლებში იყო, ახლაც ქალაქისა და სოფლის კულაკური და ანტი-საბჭოთა ელემენტები შეეცდებიან წინამდებარე საარჩევნო კამპანია გამოიყენონ მუშათა კლასისადმი მტრული გავლენისათვის მოსამსახურეებისა, ინტელიგენციისა, შინამრეწველებისა, ხელოსნებისა და გლეხების ზოგიერთ ჯგუფზე. სესსია წინადადებას იძლევა ასეთ მტრულ გავლენას და აქტივობას საარჩევნო კამპანიაში მუშათა კლასმა და სოფლის უღარიბესმა და საშუალო მასსებმა დაუპირისპირონ უფრო მეტი აქტივობა და გააძლიერონ თავიანთი ხელმძღვანელობა და გავლენა როგორც საანგარიშო-საარჩევნო, ისე თვით საარჩევნო კრებებზე.

არჩევნების სოფლად ჩატარების დროს საჭიროა განხორციელებულ იქნეს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა სოფლის მოსახლეობის უღარიბესი და საშუალო შეძლების ნაწილის ბლოკისათვის და კულაკებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების იზოლაციისათვის.

საბჭოთა არჩევნების საანგარიშო კამპანია ჩატარებულ უნდა იქნეს ულმობელი თვითკრიტიკის ლოზუნგის ქვეშ. ჩვენი მეურნეობრივი და კულტურული მშენებლობისა და მასსიური მუშაობის ნაკლულოვანებათა კრიტიკაში ჩაბმულ უნდა იქნენ მშრომელთა ფართო მასსები, პროფესიონალური კავშირები, უღარიბესი მოსახლეობის ჯგუფები, ქალთა დელეგატების კრებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, და გამოყენებულ უნდა იქნენ პრესსა, კედლის გაზეთები, მუშათა და გლეხთა კორესპონდენტები და სხვ.— ფართო პროლეტარული დემოკრატიის საფუძველზე.

ამომრჩეველთა განაწესები უპირველეს ყოვლისა უნდა ემყარებოდეს ადგილობრივი ცხოვრების საკითხებსა და მოთხოვნილებებს და აგებული უნდა იყოს ადგილობრივი მატერიალური შესაძლებლობის ანგარიშში მიღების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარ-საარჩევნო და საარჩევნო კრებაზე განაწესების განხილვის დროს ამომრჩეველების მიერ შეტანილი დამატებანი მიღებულ უნდა იქნეს დიდის ყურადღებით, ხოლო თვით განაწესებს საერთო ჯამი უნდა გაუკეთდეს და საფუძვლად დაედვას თვითეული ახლად არჩეული საბჭოს მუშაობას.

წინამდებარე საარჩევნო კამპანიაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა უფრო გაძლიერებულ უნდა იქნეს. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ძირითად საკითხებს: ყოველმა ორგანიზაციამ თავისივე წრეში უნდა შეიმუშაოს სათანადო ღონისძიებანი, რათა, რაც შეიძლება მეტი წევრი იყოს ამ ორგანიზაციისა საბჭოთა არჩევნებში ჩაბმული; საარჩევნო კამპანიის პერიოდში შეთანხმებულ უნდა იქნეს ორგანიზაციების მუშაობა პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად; ხელი უნდა შეეწყოს ამომრჩეველთა აღნუსხვის საქმეს და თანაც სათანადოდ უნდა იყოს იგი შემოწმებული; წესიერად უნდა იქნეს დაყენებული ორგანიზაციის მიერ აგიტაციისა და განმარტების მუშაობა და ამისათვის მან უნდა გამოიყენოს თავისივე კულტურული საშუალებანი (მუშათა კლუბი, ქოხი-სამკითხველო, კინო, კედლის გაზეთი, მუშათა თეატრი, ქალთა კლუბი, მოძრავი კარავი, წითელი კუთხე და სხვ.); მუშახა კრებებზე უნდა მოეწყოს საბჭოებისა, ცალკე დეპუტატებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ ანგარიშების წარდგენის საქმე; საბჭოში ასარჩევად კანდიდატების დასახელება და მათი შეფასება და სხვ.

იმ რაიონებში, სადაც ეროვნული უმცირესობაა, კამპანიის წარმოების დროს ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს ეროვნებათა ნაციონალური და საყოფაცხოვრებო პირობები (ეროვნ. უმცირ. საარჩევნო უბანი, დედა-ენა და სხვ.); ეროვნულ უმცირესობათა წრიდან მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა საერთო საარჩევნო კრებებში ჩასაბმელად უნდა სწარმოებდეს წინასწარი მუშაობა დელეგატ-ქალთა კრებებისა, ქალთა საერთო კრებებისა და სხვ. მეშვეობით; ეროვნულ უმცირესობათა წრის მუშა-ქალებმა და გლეხ-ქალებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში; ეროვნულ უმცირესობათა აქტივი მიმკვიდრებულ უნდა იქნეს საბჭოთა ხელმძღვანელ მუშაობაზე, ხოლო ის აქტივისტი, ვინც თავი იჩინა ამ მუშაობაში,—დაწინაურებული.

საჭიროა გაუმჯობესებულ იქნეს კამპანიის ხელმძღვანელობის საქმე საარჩევნო კომისიების შედგენილობის ხაზით და ზემდგომმა საარჩევნო კომისიებმა თავის დროზე აძლიონ ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს სათანადო დირექტივები სწორედ დაყენებული და თავის დროზე დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე.

იმის გარდა, რომ ახალ საბჭოებში დასახელებულ უნდა იქნენ კანდიდატები ღარიბთა და ამბოკართაგან (ბატრაკოთაგან), აგრეთვე ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს წინანდელი არჩევნების შეცდომები, რაც იმაში გამოიხატა, რომ ჩრდილში იყვნენ დატოვებულნი კანდიდატები საშუალო შეძლების მქონე ელემენტების წრიდან და საკმაოდ არ იქნენ გამოყენებულნი დემობილიზებული წითელარმიელები და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ინტელიგენტები, რომელთაც დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება მუშა კლასის საქმისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ კიდევ დადასტურებულ იქნეს ის გარემოება, რომ საკიროა მტკიცე კურსი, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელ თანამდებობებზე ქალები უნდა ინიშნებოდნენ, მაგალითად: სასოფლო საბჭოს და სათემო, საუბნო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების გამგედ, აღმასრულებელი კომიტეტის წევრად და აგრეთვე რესპუბლიკანურ და საოლქო საბჭოთა ორგანოებში.

რათა წინამდებარე საარჩევნო კამპანიის დროს სოფლად გაძლიერებულ იქნეს პროლეტარული გავლენა; წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ საქმე დაზგის მუშების სოფლის ორგანიზაციების დასახმარად გაგზავნისა სასოფლო საბჭოების და სათემო, საუბნო, სადაირო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების არჩევნების მომზადებისა და თვით არჩევნების ჩატარებისათვის წარმოებულ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

საჭიროდ იქნეს ცნობილი, არჩევნების შემდეგ, რესპუბლიკებში კურსების მოწყობა ახლად არჩეული საბჭოების ქვემდგომ მომუშავეთა მოსამზადებლად.

მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს საარჩევნო კამპანიის დროს ჩაატარონ გლეხთა ფართო კონფერენციები.

წინადადება მიეცეს ა/კ. ცენტრ. აღმ. კ-ტის პრეზიდიუმს — ა/კსფსრ-ში საარჩევნო კამპანიის დაწყებისთვის გამოსცეს ამიერკავკასიის მთავრობის მოქმედების მოკლე ანგარიში წარსული წლის მეურნეობრივ და კულტურულ მიღწევათა შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1928 წ. ნოემბრის 1. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია-ვოსტოკა“-ს 263 №-ში 1928 წ. ნოემბრის 13-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 17 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

(სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველო).

1928 წ. ნოემბრის 14.

233. საფეიქრო ნაკეთობის ფასის მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატის შესახებ.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების თაობაზე 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების მე-3 მუხ. „გ“ პუნქტისა და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. თებერვლის 19-ს თარიღისა და 30/a №-ის დადგენილების თანახმად, ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი,—თავისი, 1927 წ. მარტის 2-ს თარიღისა და 7/122 №-ის დადგენილების 1-ლი მუხლის გასაუქმებლად,—ადგენს:

1. საფეიქრო ნაკეთობის ბითუმად ვაჭრობისათვის სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატის განყოფილებაში ქალაქ ტფილისში დაწესებულ იქნეს შემდეგი მაქსიმალურ-უკიდურესი წანამატები სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ სათანადო ტრესტების პრეისკურანტებზე:

საფეიქრო ნაკეთობის ჯგუფების სახელწოდება	როდესაც საქონელი სახელ. ვაჭრობას და კოოპერ. ეძლევა	როდესაც საქონელი კერძო, ცალობით მოვაჭრეს ეძლევა
შალი, კამოლი, მაუდი	8,80%	8,80%
სელის ქსოვილი	7,75%	8,25%

2. დანარჩენში ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. მარტის 2-ს თარიღისა ღა 7/122 №-ის დადგენილება ძალაში რჩება.

3. ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით შესრულებას.

4. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

5. დადგენილება ესე სამოქმედოდ იქნეს შემოღებული სრულიად საკავშირო საფეიქო სინდიკატის ტფილისის განყოფილებისათვის გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში გამოქვეყნების დღიდან.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე **გაჯინსკი.**

სამრეწველო და სასურს. საქონ. სამმართ. უფროსი **მერკუროვი.**

საქმეთა მმართველი **ეგიაევი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 265 №-ში 1928 წ. ნოემბრის 17-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 76 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

234. სოფლის მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის სამეურნეო დახმარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„სოფლის მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის სამეურნეო დახმარებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ 1928 წ. სექტემბრის 7-ს თარიღით გამოცემულ („იზვ.“ 213 №-რი 1928 წ. სექტემბრის 13-სა) სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სოფლის მოსახლეობის უღარიბესი ნაწილისათვის კრედიტის მისაცემად დაწესებულ იქნეს შემდეგი შკალა:

სესხის დანიშნულება	კრედიტის ვადა	წლიურად სესხის დაფარვის ვადა და რაოდენობა
მუშა-საქონლის შესაძენად	5 წელ.	მე-2 წლიდან სესხის მიღმბის მომენტის შემდეგ: მე 2 წელს—15%, მე 3 წ.—25%, მე-4 წელს—30%, და მე-5 წელს—30%.
მსხვილფეხა მოსარგებლე საქონლის შესაძენად	6 „	მე-2 წლიდან—10%, მე-3 წ.—15%, მე-4 წ.—20%, მე-5 წ.—25%, მე-6 წ.—30%
სასოფლო-სამეურ. მანქანებისა და იარაღის შესაძენად (ხოლ კოლექტივებისათვის—ტრაქტორებისა და რთული მომსთვლევი მანქანებისა)	5 „	მე-2 წლიდან—20%, მე-3 წ.—25%, მე-4 წელს—25%, მე-5 წ.—30%
წვრილფეხა მოსარგებლე საქონლისა და წვრილი სას.-სამეურნეო ინვენტარის შესაძენად	3 „	1/ლი წლიდან—მე-2 წ.—40%, მე-3 წ.—60%
წმინდა ხარისხოვანი თესლისა და სასუქის შესაძენად და სპეც. სადედების გასაშენებლად	3 „	ისევე.
კაპიტალური ხარჯები სპეციალური კულტურების გასავრცელებლად (ვენახებისა, ხილის ბაღებისა და სხვ. გასაშენებლად)	8 „	მე-5 წლიდან: მე-5 წ.—15%, მე-6 წ.—25%, მე-7 წ.—30% და მე-8 წ.—30%.
სასოფლო-სამეურნ. მნიშვნელობის შენობების ასაგებად (გომეურებისა, სარაიებისა, ბელლებისა)	8 „	მე-2 წლიდან—5%, მე-3 წ.—10%, მე-4 წ.—10%, მე-5 წ.—15%, მე-6 წ.—15%, მე-7 წ.—20% და მე-8 წ.—25%.
სას.-სამ. რეწაობისა და შინამრეწველობის ინვენტარისა და გაწყობილობის შესაძენად	3 „	მე-2 წლიდან—40% და მე-3 წ.—60%.
მინერალური სასუქისათვის	3 „	1-ლი წლის შემდეგ—20%, მე-2 წ.—30% და მე-3 წ.—50%.
მავნებლებთან ბრძოლისათვის	8 „	ისევე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სოფლის ულარიბესი მოსახლეობისათვის კრედიტის მისაცემი ფონდიდან კრედიტების წესიერად წარმართვისათვის სავალდებულოდ იქნეს შემოღებული სოფლის მოსახლეობის ულარიბესი ნაწილის აქტივის წარმომადგენელთა მონაწილეობა სას.-სამ. ამხანაგობებთან არსებულ სასოფლო კომისიებში, რომლებიც აღნიშნულ ფონდს მსესხებელთა შორის ანაწილებენ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

დაწესონ ღარიბთათვის კრედიტის გამცემ დაწესებულებათა მომუშავეების პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის წესით: სესხის თავის დროზე გაუცემლობისათვის, სახსარის არა-დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის, სესხის რაოდენობისა და ვადების შემცირებისათვის, გადასახდევინებელი პროცენტების გადიდებისათვის, კრედიტის მიზნობრივი დანიშნულებისა და სოცილური მიმართულების შეცვლისათვის.

4. წინადადება მისცენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს:

ა) მიიღონ ღონისძიება, რათა ღარიბთათვის, გლეხობის სხვა ფენებთან შედარებით, დაწესებულ იქნეს შემცირებული სასყიდელი გასაქირავებელი მარცვლის-საწმენდი მანქანებისა და საგრილებელი პუნქტების სარგებლობისათვის;

ბ) მისცენ ადგილებს დირექტივები, რათა მოწყობილ იქნეს კოლექტიური გამოყენება ღარიბთა მეურნეობების მიერ გამქირავებელი პუნქტების ძრავებისა და რთული მანქანებისა; ამასთანავე საჭიროა, რომ აღნიშნული მიზნისთვის ჯგუფების შედგენა ჩამოყალიბებულ იქნეს წესდების სახით, თანაც იმ პირობით, რომ მანქანების მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა იყოლიონ ზემოაღნიშნული მიზნით მოწყობილი ჯგუფები განსაკუთრებულ აღნუსხვაზე მათი მეურნეობის მოსავლელად, სათანადო კრედიტის მიცემით;

გ) მიიღონ ღონისძიება, რათა კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობის ამა თუ იმ საწარმოს გამოყენების დროს ღარიბთა მეურნეობას მიეცეს განსაზღვრული შეღავათები, საგლეხო მეურნეობათა სხვა ჯგუფებთან შედარებით;

დ) დაავალონ საბჭოთა მეურნეობას და კოლექტიურ მეურნეობას, უკეთუ მათ მეურნეობაში მათი ინვენტარი საკმაოდ არ იქნება დატვირთული, გამოიყენონ ეს ინვენტარი გარშემო მყოფ ღარიბ გლეხთა მეურნეობათათვის დასახმარებლად შეღავათიანი პირობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 269 №-ში 1928 წ. ნოემბრის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 74 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

235. კომუნალურ საწარმოთა ქონების ამორტიზაციის ძირითად დებულებათა შესახებ.

კომუნალურ საწარმოთა ძირითადი კაპიტალების შენახვისა და სისწორით აღნუსხვისათვის და, ამასთან დაკავშირებით, ამ კაპიტალების წესიერი ექსპლოატაციისათვის, აგრეთვე კომუნალური მომსახურების ნიხრის სისწორით შედგენისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი ძირითადი დებულებანი კომუნალურ საწარმოთა ქონების ამორტიზაციის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმ. მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1928 წ. ნოემბრის 1. ტფილისი—სასახლე.

ძირითადი დებულებანი

კომუნალურ საწარმოთა ქონების ამორტიზაციის შესახებ.

1. ყოველი კომუნალური საწარმო მოვალეა აღნუსხოს თავისი ქონების ცვეთა და მოახდინოს ამ ქონების ღირებულების ამორტიზაცია.

2. საამორტიზაციო ანარიცხი გადაიდება განსაზღვრული პროცენტის რაოდენობით საწარმოს ქონების ყველა იმ ნაწილის ღირებულებიდან, რაც აღნიშნულია საინვენტარო აღწერაში და, თავისი ხასიათის მიხედვით, მიკუთვნებულია საწარმოს ძირითადი კაპიტალისთვის.

3. საამორტიზაციო ანარიცხის თანხა უნდა ეთანაბრებოდეს ქონების ცვეთის საშუალო ღირებულებას თანახმად დაწესებული ნორმებისა, რაც განისაზღვრება ქონების ხმარების ვადის მიხედვით, და ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს კაპიტალური რემონტი; ეს ნორმები მთლად შედის საწარმოს პროდუქციის თვითღირებულების კალკულიაციაში.

4. ამორტიზაცია უნდა გავრცელდეს ქონების ღირებულებაზე იმ მომენტისათვის, როდესაც ქონება საწარმოს საინვენტარო აღწერაში შეიტანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. იჯარით გაცემული ქონების საამორტიზაციო ანარიცხი გადაიდება საიჯარო სასყიდლის შემოსავლიდან; ამის გამო, საიჯარო სასყიდლის განსაზღვრის დროს, ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს აგრეთვე საამორტიზაციო ანარიცხიც და არ შეიძლება დაწესდეს ქონების ცვეთის ღირებულებაზე ნაკლები სასყიდელი.

6. უშემოსავლო ან კონსერვაციაში მყოფი საწარმოს ქონების ცვეთა აღინუსხება ქონების საინვენტარო ღირებულების ანგარიშიდან იმ თანხის ჩამოწერით, რაც ცვეთის ღირებულებას შეესაბამება.

7. ამა დებულების მე-2 და 5 მუხ. აღნიშნული საამორტიზაციო ანარიცბიდან შესდგება ერთიანი ყველა კომუნალურ საწარმოთათვის სამორტიზაციო ფონდი ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენილობაში. საამორტიზაციო ფონდი აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაშია.

შენიშვნა. საამორტიზაციო აღნუსხვა თვითეული საწარმოსათვის ცალკე მოხდება.

8. საამორტიზაციო ფონდის სახსარი იხარჯება მხოლოდ ამორტიზაციასაქმნელი საწარმოს აღდგენისათვის, ან ქონების გაცვეთილი ნაწილების კაპიტალური რემონტისათვის, ან და ძვლი საწარმოს ნაცვლად ახალი საწარმოს აგებისათვის.

9. საამორტიზაციო ანარიცხის თანხები ინახება სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი განყოფილებისა ან ადგილობრივი კომუნალური ბანკის მიმდინარე ანგარიშზე, ხოლო იქ, სადაც განყოფილება და ბანკი არ არსებობს,—სახელმწიფო შრომითი შემსახველი სალაროს ადგილობრივ განყოფილებაში ან ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში ადგილობრივ განსაკუთრებულ მიმდინარე ანგარიშზე; ეს თანხები იხარჯება ამა დებულების მე-8 მუხლ. აღნიშნულ მიზნებზე.

10. საამორტიზაციო ფონდიდან ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს სახარჯთაღრიცხვო წესით და გამოხატულება ჰპოვოს ადგილობრივ ბიუჯეტში.

11. უკეთუ მოხდება საწარმოს სრული ლიკვიდაცია, ისე, რომ სანაცვლოდ სხვა იმისთანავე საწარმო არ იქნება აგებული, ამ საწარმოს პირად ანგარიშზე დარჩენილი საამორტიზაციო ანარიცხების თანხები, დარჩენილი ქონების ლიკვიდაციით მიღებულ თანხებთან ერთად, შეიტანება ადგილობრივი ბიუჯეტის საერთო რესსურსებში.

12. ამორტიზაციასაქმნელი ქონების ნაწილობრივი ლიკვიდაციის დროს ამ ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა ჩაირიცხება საამორტიზაციო ფონდში, ხოლო საამორტიზაციო ანარიცხების წილი სათანადოდ შემცირდება.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას“ 270 №-ში 1928 წ. ნოემბრის 23-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

236. საბავშვო ბაგათა, საბავშვო ბაღთა და ბავშვების დამცველ სხვა დაწესებულებათა მიერ მუშა-ქალებისათვის გასაწევი მომსახურეობის გასაძლიერებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

საბავშვო ბაგათა, საბავშყო ბაღთა და ბავშვების დამცველ სხვა დაწესებულებათა მიერ მუშა-ქალებისათვის გასაწევი მომსახურეობის გაძლიერების მიზნით ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს 1928 წ. ოქტომბრის 1-დან, ამა თუ იმ საწარმოს მუშა-ქალების დამხმარე საბავშვო ბაგათა, საბავშვო ბაღთა და ბავშვების დამცველ სხვა დაწესებულებათა შესანახად, სავალდებულო გადასახადი იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა სამუშაო ხელფასის ფონდის $^1/_4$%-ის რაოდენობით, სადაც შემოღებულია ქალთა შრომა, სახელდობრ ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის: ა) კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედ საწარმოთათვის; ბ) საკონცესიო ხელშეკრულების საფუძველზე მომქმედ შერეულ სააქციო საზოგადოებათათვის და კოოპერატიული კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ საზოგადოებათათვის; გ) აგრეთვე ყველა ხარისხის სამომხმარებლო კოოპერატიულ ორგანიზაციათათვის, სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა გამოკლებით.

2. დაწესებულ იქნეს, რომ მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის, არსებული წესისამებრ, განაწილების დროს იმ საწარმოსა და ორგანიზაციაში, სადაც შემოღებულია ქალთა შრომა, საბავშვო ბაგათა, საბავშვო ბაღთა და ბავშვების დამცველ სხვა დაწესებულებათა მშენებლობისა და შენახვისათვის გამოყოფილი უნდა იქნეს არა ნაკლებ სათანადო ფონდის 50%-სა; თანაც იმ საწარმოსა და ორგანიზაციაში, სადაც ქალთა შრომა სჭარბობს, გამოსაყოფი თანხა აუცილებლად გადიდებულ უნდა იქნეს.

შენიშვნა. ამა მუხლის (2) თანახმად მუშებისა და მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის საერთო თანხიდან, გამოსაყოფი თანხის ზედმიწევნითი რაოდენობა (პროცენტი) განისაზღვრება უწყებული საწარმოს თუ ორგანიზაციისა და სათანადო პროფესიონალური კავშირის შეთანხმებით.

3. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის სახსარიდან გამოყოფილი თანხა და აგრეთვე სამუშაო ხელფასის ფონდის $^1/_4$%-იანი ანარიცხი უნდა გადაეცეს ჯანმრთელობისა და სახალხო განათლების ადგილობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივ ორგანოებს და იხარჯებოდეს ამ ორგანოების მიერ სათანადო საწარმოსა და პროფესიონალურ ორგანიზაციასთან შეთანხმებული მტკიცე გეგმის მიხედვით.

შენიშვნა 1. ამა მუხლში (3) აღნიშნული სახსარის განაწილება ჯანმრთელობისა და სახალხო განათლების ორგანოებს შორის მოხდება უწყებული საწარმოს და სათანადო პროფესიონალური კავშირის შეთანხმებით.

შენიშვნა 2. იმ შემთხვევაში, როდესაც უწყებულ საწარმოში, მოსაელელ ბავშვთა რიცხვის სიმცირისა ან საწარმოს მიერ გადადებული თანხის ნაკლებობის გამო, ბავშვთა დამცველი დაწესებულების მოწყობა მიზანშეუწონლად იქნება ცნობილი, აღნიშნული დაწესებულება მოწყობილ უნდა იქნეს როგორც საერთო დაწესებულება სხვადასხვა, ერთი-მეორის ახლო მდებარე, საწარმოთათვის, იმის მიუხედავად, თუ რომელ პროფესიონალურ კავშირს ეკუთვნიან ეს საწარმონი.

4. დაევალოს 1-ლ მუხლში აღნიშნულ ყველა საწარმოს და ორგანიზაციას — გადასცეს მხს გამგებლობაში ქონებული ყველა საბავშვო ბაგა ჯანმრთელობის სათანადო ორგანოს არა უგვიანეს 1928 წ. დეკემბრის 1-სა,

5. გაუქმებულ იქნეს: ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. აგვისტოს 5-ს დადგენილება „მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-9 №-რი, მუხ. 710); ბ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. აგვისტოს 1-ს დადგენილება „ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის თაობაზე“ 1926 წ. აგვისტოს 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების რედაქციის შეცვლის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-15 №-რი, მუხ. 177); გ) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. მაისის 25-ს დადგენილება „მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან მუშათა საბინაო მშენებლობისათვის გამოსაყოფი ნაწილის რაოდენობის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-10 №-რი, მუხ. 124); დ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1928 წ. თებერვლის 6-ს დადგენილება „სამრეწველო საწარმოთა მუშა-ქალებისათვის საბავშვო ბაგათა მიერ გასაწევი მომსახურეობის გაძლიერების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე 3 №-რი, მუხ. 32); ე) ა/კ. ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კსფსრ სახ. კ-თა საბჭოს 1928 წ. აპრილის 11 დადგენილება „საბავშვო ბაგათა შესანახად სამრეწველო საწარმოთათვის სამუშაო ხელფასის თანხის $^1/_4\%$-ს გადახდევინების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-10 №-რი, მუხ, 109).

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ გამოსცენ, ამა დადგენილებასთან და სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. ივნისის 27-ს დამტკიცებული „მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის დებულებასთან“ შეუფარდებით, დადგენილებანი—ადგილობრივ ბიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეტზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მუშებისა და მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1928 წ. ნოემბრის 19. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 271 №-ში 1928 წ. ნოემბრის 24-ს.

დადგენილება ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

237. გამომცემლობებისა და წიგნის მოვაჭრე ორგანიზაციების საადმინისტრაციო-საგამგებლო და სავაჭრო ხარჯების შემცირების შესახებ.

1929 წ. საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების 20%-ით შემცირების თაობაზე მთავრობის ორგანოების მიერ გაცემული დირექტივების განსახორციელებლად და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 29-ს თარიღისა და 71 №-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 257 №-რი 1928 წ. ნოემბრის 6-სა) შესასრულებლად—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. დაევალოს ყველა გამომცემლობასა და წიგნის მოვაჭრე ორგანიზაციას წარუდგინოს, არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 5-სა, ბეჭდვითი საქმის კომიტეტს ცნობები—1928 წლის პირველ ნახევარში მათ მიერ საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირების შესახებ.

ცნობები მიცემულ უნდა იქნეს საწარმოს საანგარიშო ციფრების მიხედვით და ხელმოწერილი უნდა იყოს გამომცემლობისა თუ წიგნების მოვაჭრე ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მთავარი ბუხჰალტერიის მიერ.

2. დაევალოს ყველა გამომცემლობისა და წიგნის მოვაჭრე ორგანიზაციას წარუდგინოს, არა უგვიანეს ა/წ. დეკემბრის 1-სა, ბეჭდვითი საქმის კომიტეტს 1929 წლის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების ხარჯთაღრიცხვა.

3. ანგარიში საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების 20%-ით შემცირების თაობაზე მთავრობის მიერ გაცემული დირექტივების შესრულების შესახებ და 1929 წ. ხარჯთაღრიცხვა წარდგენილ უნდა იქნეს ერთსა და იმავე დროს

ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისათვის ფედერატიული მნიშვნელობის გამომცემლობის მიერ, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისათვის—რესპუბლიკანური მნიშვნელობის გამომცემლობის მიერ.

4. 1929 წლის ხარჯთაღრიცხვაში, იმის გარდა, რომ განმტკიცებულ უნდა იქნეს 1928 წელს განხორციელებული შემცირება საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისა, აგრეთვე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ ხარჯების შემდგომი შემცირებაც.

ეს შემცირება განხორციელებულ უნდა იქნეს:

ა) აპარატის შემდგომი რაციონალიზაციისა, ზედმეტი ფუნქციების თავიდან აცილებისა, მუშაობის სისტემისა და მეთოდების გაუმჯობესებისა და ანგარიშგების გამარტივების საფუძველზე;

ბ) საკონტორო და ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯებისა, სადგომების შენახვისა და მოვლის ხარჯებისა, სატრანსპორტო მომსახურეობის ხარჯებისა, ყრილობათა, კრებათა, თათბირთა და სხვ. მოწვევის ხარჯების მაქსიმალური შემცირებით;

გ) წარვლინებათა რიცხვის მაქსიმალური შემცირებით და წარვლინებისათვის მისაცემი სასყიდლის შესახებ არსებული წესების მტკიცე შესრულებით;

დ) იმ ხარჯების სრული მოსპობით, რასაც ორგანიზაციის მიზნებთან უშუალო კავშირი არა აქვს.

5. 1929 წლის ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს ანგარიშში მიღებულ და განხორციელებულ უნდა იქნეს ის დირექტივები—1927 წელს ხარჯების 15%-ით და 1928 წელს 20%-ით შემცირების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ სრულად განხორციელებული არ არის.

6. საადმინისტრაციო-საგამგებლო და სავაჭრო ხარჯების საერთო თანხა 1929 წ. ხარჯთაღრიცხვით არ უნდა აღემატებოდეს 1928 წ. დამტკიცებულ ამავე ხარჯების საერთო თანხას.

7. უკეთუ ამა თუ იმ ორგანიზაციის ოპერაციები 1929 წ., შედარებით 1928 წლის ბრუნვასთან, 20 პროცენტზე მეტად გაიზარდა, აგრეთვე, უკეთუ ახალი ობიექტების (ახლად მოწყობილი განყოფილება, თანაგანყოფილება და სხვ.) მოწყობის გამო ხარჯები თვალსაჩინოდ გადიდდა, ამა დადგენილების მე-6 მუხლში აღნიშნული წესის გადახვევა შეიძლება მარტოოდენ ბეჭდვითი საქმის კომიტეტის წინასწარი ნებართვით, ხოლო იმ პირობით, რომ 1929 წლის სავაჭრო ხარჯების პროცენტი ნაკლები იყოს 1928 წლის სავაჭრო ხარჯების პროცენტზე და, ყოველ შემთხვევაში, არ აღემატებოდეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. ივლისის 3-ს დადგენილებით დაწესებულ ნორმას (ოქმი № 10).

8. უკეთუ ამა თუ იმ ორგანიზაციის ბრუნვა 1929 წელს შემცირდა, 1928 წლის ოპერაციების რაოდენობასთან შედარებით, ასეთმა ორგანიზაციამ თავისი საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების პროცენტის ნაწილი სათანადოდ უნდა შეამციროს და ამასთანავე არ გაადიდოს სავაჭრო ხარჯების პროცენტიც.

9. დანიშნულებანი ახალი ხარჯებისათვის, რაც 1929 წლის ხარჯთაღრიცხვით პირველად არის გათვალისწინებული, ნაჩვენები უნდა იქნეს გრაფს გარეშე.

10. 1929 წლის ხარჯთაღრიცხვის საბოლოო დამტკიცებამდე გამომცემლობის ყოველთვიური ხარჯი 1929 წელს არ უნდა აღემატებოდეს 1928 წლის სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებათა ერთ-მეთორმეტედს.

11. საადმინისტრაციო-საგამგებლო და სავაჭრო ხარჯების ელემენტები უნდა შეესაბამებოდეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1928 წ. ივლისის 3-ს დადგენილებით გათვალისწინებულ ნომენკლატურას.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო
კომისრის მოადგილე **მ. გაჯინსკი.**

კოლეგიის წევრი **აღნიაშვილი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 272 №-ში 1928 წ. ნოემბრის 25-ს.

დადგენილება № 77 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

238. სამინდო გამოსაღების შესახებ.

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამინდო გამოსაღების შესახებ“ 1928 წლის ნოემბრის 2-ს თარიღით გამოცემული დადგენილების თანახმად— ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. დაწესებულ იქნეს 1928 წლის დეკემბრის 5-დან ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ ყველა წისქვილისათვის (სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო) მარცვლეულის დასაფქვავად გასაღები სასყიდლის აუცილებლად ნატურით გადახდევინება (სამინდო გამოსაღები) შემდეგ მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე:

1. სამინდო გამოსაღების რაოდენობას მოაწესრიგებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

2. წისქვილის მეპატრონე და მოიჯარადრე მოვალეა მთლად სამინდო გამოსაღები ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასად ჩააბაროს იმ სახელმწიფო ორგანოს და კოოპერატიულ ორგანიზაციას, რომელსაც ა/კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატი დააკისრებს სამინდო გამოსაღების მიღებას.

3. მე-2 მუხლის წესისამებრ შემოსული პურეული გამოიყენება სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი წესით; ამასთანავე ამ პურეულის ნაწილი მიიქცევა ადგილობრივი მომარაგებისათვის, უპირატესად უღარიბესი გლეხობისათვის მისაწოდებლად.

4. სამინდო გამოსაღების სახით მიღებული პურეულის შემოსავალ-გასავლის განსაკუთრებულ აღნუსხვას აწარმოებს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში არსებული თავისი ორგანოების მეშვეობით.

5. ვაჭრობის მომწესრიგებელი ადგილობრივი ორგანოები თვალყურს ადევნებენ სამინდო გამოსაღების გადახდევინებას ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციების თანახმად.

6. პასუხისმგებლობა ამა დადგენილების განხორციელებისათვის დაეკისროს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს.

II. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—დააწესონ სანქციები სამინდო გამოსაღების წესების დარღვევისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ამბარცუმიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. ბახტაძე.**

1928 წ. ნოემბრის 27. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 274 №-ში 1928 წ. ნოემბრის 28-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 231. დაიბეჭდა 1.000.